ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-ი/ე 1307-17

"28" 09 2017 წ.

დადგენილება №002857
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის შეწყვეტის შესახებ

28.09.2017წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. № 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაფელმა განვიხილე 2017 წლის 20 სექტემბრის №002857 მითითება და 2017 წლის 26 სექტემბრის №002857 შემოწმების აქტი შედგენილი ს.ს. **"თელასი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №202052580, გენერალური დირექტორი სერგეი კობცევი (65№0977415, 65№3464608, რუსეთის ფედერაცია) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ნინუას ქ. №3, საკ. კოდი №01.12.12.001.160-ში ს.ს. "თელასი"-ს მიერ განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ, არსებულ ბაქანზე განხორციელდა კაპიტალური საძირკვლის მოწყობა.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2017 წლის 20 სექტემბერს შედგენილ იქნა მითითება №002857, რომლითაც მხარეს განესაზღვრა ხუთი კალენდარული დღის ვადა ობიექტის დემონტაჟისათვის უსაფრთხოების წესების დაცვით ან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2017 წლის 26 სექტემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002857, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

საქმეშია, სამსახურის მთ. სპეციალისტის მოხსენებითი ბარათი 27.09.2017წ., რომლითაც ირკვევა, რომ ს.ს. "თელასი"-ს მიერ შესრულებულია სამსახურის №002857 20.09.2017წ. მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, ქ. თბილისში, ნინუას ქ. №3, საკ. კოდი №01.12.12.001.160-ში ს.ს. "თელასი"-ს მიერ განხორციელდა უნებართვოდ მოწყობილი კაპიტალური საძირკვლის დემონტაჟი. წარმოდგენილია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ს.ს. "თელასი"-ს მიერ გამოსწორებულია სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ნინუას ქ. №3, საკ. კოდი №01.12.12.001.160-ში დემონტირებულ იქნა არსებულ ბაქანზე უნებართვოდ მოწყობილი კაპიტალური საძირკვლი.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25 მუხლის მე-11 ნაწილის "ა" და "ბ" პუნქტებით

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება ს.ს. "თელასი"-ს მიმართ;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაფელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ს-ყ ე 1308-17

"28" 09 2017 წ.

სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე დადგენილება
№შ-105/17-2
(მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების
ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე)

28.09.2017წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე **ს.ს. "თელასი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №202052580, გენერალური დირექტორი სერგეი კობცევი (65№0977415, 65№3464608, რუსეთის ფედერაცია) მიმართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 20 სექტემბერს მიღებული №შ-105/17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 20 სექტემბრის №შ-105/17 დადგენილებით, შეჩერებულ იქნა ს.ს. "თელასი"-ს მიერ ქ. თბილისში, ნინუას ქ. №3, საკ. კოდი №01.12.12.001.160-ში უნებართვოდ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ, არსებულ ბაქანზე კაპიტალური საძირკვლის მოწყობა, დარღვევის გამოსწორებამდე, კერძოდ, სამსახურის №002857 20.09.2017წ. მითითების მოთხოვნათა შესრულებამდე.

საქმეშია, სამსახურის მთ. სპეციალისტის მოხსენებითი ბარათი 27.09.2017წ., რომლითაც ირკვევა, რომ ს.ს. "თელასი"-ს მიერ შესრულებულია სამსახურის №002857 20.09.2017წ. მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, ქ. თბილისში, ნინუას ქ. №3, საკ. კოდი №01.12.12.001.160-ში ს.ს. "თელასი"-ს მიერ განხორციელდა უნებართვოდ მოწყობილი კაპიტალური საძირკვლის დემონტაჟი. წარმოდგენილია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საქმის გარემოებების სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად დასტურდება, რომ აღმოფხვრილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-12 ნაწილით განსაზღვრული საფუძვლები (თუ მშენებარე ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორება შეუძლებელია მშენებლობის შეჩერების გარეშე, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას მშენებლობის შეჩერების თაობაზე), კერძოდ, მშენებარე ობიექტზე დაფიქსირებული დარღვევები გამოსწორებულია, ამასთანავე, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს".

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-12 ნაწილით, 49-ე მუხლის "ა" პუნქტით, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლით, საქართველოს მთავრობის №57 24.03.2009წ. დადგენილებით, საქართველოს მთავრობის №361 27.05.2014წ. დადგენილებით დამტკიცებული "მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-თ

დავადგინე:

1. ძალადაკარგულად იქნეს გამოცხადებული ს.ს. "თელასი"-ს მიმართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 20 სექტემბერს მიღებული №შ-105/17 დადგენილება;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაყელი

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 10338/09 D 22 10 15

შპს "ჯეო-ემ-ტექს"-ის წარმომადგენელს
ბატონ ლაშა ბაგრატიონს,
ნინუას ქუჩა N3,
01-12-12-001/160

შპს-მ "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" განიხილა თქვენი განცხადება, დათარიღებული 09.10.2015 წ. დარეგისტრირებული №17604/04, 09.10.2015 წ., სადაც ითხოვთ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე წყალსადენის ქსელების მდებარეობის შესახებ ინფორმაციას და მის გადატანას.

კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე გაცნობებთ, რომ:

- აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალსადენის დ=100 მმ ქსელი. სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნიპ 2.04.02-84) შესაბამისად ნებისმიერი შენობა-ნაგებობის წითელი ხაზები წყალსადენის ქსელიდან დაშორებული უნდა იყოს 5 (ხუთი) მეტრით ორივე მხრიდან. გაფრთილებთ, რომ სანიტარული ზოლი ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, სადაც დაუშვებელია ყოველგვარი სახის მშენებლობა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენება. ქსელების დაზიანების შემთხვევაში სანიტარულ ზონაში არსებულ შენობა ნაგებობებს შესაძლებელია მიადგეს ზიანი და უარეს შემთხვევაში გამოიწვიოს უბედური შემთხვევაც კი, რაზედაც კომპანია იხსნის პასუხისმგებლობას.
- აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული წყალსადენის ქსელის გადატანას კომპანია შესაძლებლად მიიჩნევს მას შემდეგ, რაც დაინტერესებული მხარის მიერ დაფინსებული იქნება ქსელის გადატანის საპროექტო და/ან სამშენებლო სამუშაოები.

პატივისცემით,

ირაკლი ბაბუხადია

კომერციული დირექტორი